

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და კანონთან
კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე პირთა მიმართ ადრეული ჩარევის
მექანიზმები



თამარი ჩხარჩხალია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე, სამართლის მაგისტრი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამარი ჩხარჩხალია

მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, სამართლის მაგისტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტს, ქალბატონ ნათია მოგელაძეს გაწეული შრომისა და ჩემი ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

აბსტრაქტი

პირის ასაკი სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, იგი არ არის დაყოფილი მხოლოდ სრულწლოვანებად (18 წელს ზემოთ) და არასრულწლოვანებად (18 წლამდე). არამედ, სამართლის თითოეული დარგისთვის არსებობს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიები, მაგალითად კერძო სამართალში გვხვდება რამდენიმე სახის ასაკობრივი დაყოფა და თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და სახელწოდება აქვს. ასევე, ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ სამართალშიც, კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირს ეკისრება 16 წლიდან. რა თქმა უნდა, ასაკი უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართალშიც. კერძოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და მისი დადგენა უმნიშვნელოვანესი საკითხია სისხლისამართლებრივ მართლმსაჯულებაში, ვინაიდან, სწორედ აღნიშნულის განსაზღვრისა და პირის ასაკის დადგენის შემდეგ ხდება კანონშეუსაბამო ქმედებაზე რეაგირება.

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა დანაშაულისათვის, წარმოადგენს 14 წელი. ეს კი გულისხმობს იმას, რომ 14 წლამდე პირის მიერ ჩადენილი სისხლისამართლებრივი კანონგადაცდომა ვერ ჩაითვლება დანაშაულად და შესაბამისად, 14 წლამდე პირს ვერც დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია, თუ რა ადრეული ჩარევის მექანიზმები არსებობს 14 წლამდე პირთა მიერ კანონგადაცდომის შემთხვევაში და როგორ მუშაობს ეს მექანიზმები.

2020 წლის იანვრიდან საქართველოში 7 დან 14 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებზე გავრცელდა რეფერირების მექანიზმი, რომელიც ახორციელებს მათ გადამისამართებას რეფერირების ცენტრებში.

ჩემი კვლევის და დაინტერესების საგანსაც წარმოადგენს სწორედ, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და ის პრობლემები, რაც პრაქტიკაში გვხვდება 14 წლამდე პირის მიერ კანონგადაცდომისას.

აღნიშნული საკითხი წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლის, არამედ საზოგადოებრივ ინტერესს. სწორედ ამიტომ აუცილებელია აღნიშნული საკითხის მიმოხილვა, კვლევა და მასზე ინფორმაციულობის გაზრდა, რაც წარმოადგენს ჩემს მიზანს.

აღნიშნული საკითხების კვლევისთვის გამოვიყენე სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ, აღწერილობითი/ მიმოხილვითი, შედარებითი, დოქტრინალური და ისტორიულ / მიმოხილვითი, რითაც დადასტურდა, რომ აღნიშნული საკითხი აქტუალური და პრობლემატურია, ამ საკითხის გადაჭრის გზად კი მისი საჯაროდ განხილვა და მოსახლეობის ინფორმირებაა.

ABSTRACT

The age of the person is very important topic for the law, It is not separated just for the full aged (up 18) and minor (under 18). Rather, there are different age categories for each field of law, for example in private law there are several types of age division and each of them has its own meaning and name. Also, the age is very important in administrative law, in particular, administrative responsibility shall be imposed on persons who have reached the age of 16. Of course, age is also very important in criminal law. In particular, the most important issue is the age of criminal liability. The age of criminal responsibility and its determination is the most important issue in criminal justice, because only after this and determining the age of the person, is possible to respond to illegal action.

The age of criminal liability according to the criminal code of Georgia for all kind of crimes is 14 years. This means that a criminal violation committed by a person under the age of 14 can not be considered as a crime and consequently, a person under the age of 14 can not be held criminally liable.

In this regard, it is very important what kind of early intervention mechanisms exist in case of violation of the law by the persons under the age 14 years and how these mechanisms work.

From January 2020, in Georgia on minors, at the age from 7 to 14 yaers, who are in conflict with law was launched a referral mechanism, which redirects them to the referral centers.

The subject of my research and interest is also the age of criminal responsibility and the problems which is found in practice when the person under the age of 14 years breaks the law.

This issue is not just the interest of justice, it is the interest of the society and that is why it is necessary to review, research and raise awareness about it. Which is my goal.

I have used various methods for the research of these issues. In particular descriptive/review, Comperative, Doctrinal, historical/review methods. With them it was

confirmed that this issue is actually and problematic and the way to solve this issue is to discuss it publicly and inform the population.